



8/116  
6  
116

ნახ. მ. ოთარაშვილისა

## დანიშნულებისამებრ


„საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „ამერიკის დახმარების ღირსი რომ ვიყოთ, საჭიროა მოვსპოთ პარტიზანები. ყოველი ამერიკული დოლარი გამოყენებული იქნება იმ მიზნებისათვის, რისთვისაც იგი განკუთვნილია!“

(გაზეთებიდან)

ნახ. მ. ოთარაშვილისა

იყენებენ დოლარებს თვითეული მისხლითა,  
და კვლავ რწყავენ საბერძნეთს—მშრომელების სისხლითა.





სხივი ხარ დიდი სიძარბლის, ხალხისთვის შუქის მომფენი, გელის ყოველდღე ქალაქი, ჩვენი დაბა და სოფელი.

შენი შრილა ფურცლები, ზედ რომ მზის შუქი ანთია, როგორც მტრედების გუნდები, მოუძღვებიან განთიადს...

მოაქვთ მოყვრისთვის საამო, მტრისთვის დამცემი რისხვისა, ამბავი ჩვენი სამშობლოს აყვავების და წინსვლისა.

ომის დროს გულს გვინერგავდი ბელადის სიტყვას, მხნეობას, დღესაც დიადი შრომისთვის აღანთებ მოსახლეობას.

სალამს მოგიძღვნის წიანგი, ბრწყინვალე იუბილარო, გახსურვებ მუდამ გულლალმა, გამარჯვებულმა იარო.

უოღო მოკვსონის გაკვეთილი

ბატონი უოღოტი ღიბით მიმბეჭენია მაგიდას, გადაშლილ წიგნს სათვალის ზემოდან დაჰყურებს და ოქროპირობს:

— ჩვენს ბედნიერ ქვეყანას ეკუთვნის მეოცე საუკუნე. ჩვენ ღირიუორის ჯოხი გვიკავია ხელში და მსოფლიოს ორკესტრს ვხელმძღვანელობთ. ვაი იმ მუსიკოსს, იმ დამკვრელს, ვინც ჩვენს მუსიკას არ აჰყვება!..

უოღოტს გვერდით პატარა ბიჭი უხის, რომელიც პირველ შეხედვისთანავე ციკნისგან ამოდებულ ტიკს მოკვავნებთ.

— დიკ, — განაგრძობს ბატონი უოღოტი, — კარგად დაიხსომე, დედამიწაზე არ არსებობს ჩვენზე უფრო ბედნიერი და თავისუფალი ქვეყანა. არსად ისეთი ამაყი და დამოუკიდებელი არ არის აღამიანი, როგორც ჩვენში!

— მამა, მშია! — კრუსუნებს დიკი.

— დიკ, ჩვენში არავის არ შია! — უსწორებს უოღოტი.

— მე მშია! — არ ისვენებს დიკი.

— ახლავე, დიკ. — ამბობს მორგვსონი და ზარს დააწკარუნებს.

ოთახში განდებდა ზანგი მოსამსახურე ჯონი:

— რას მიბრძანებთ, მისტერ?

— მოართვეთ დიკს რძე, შოკოლადი „ატომი“ და ბუტერბროდი.

— ახლავე, მისტერ! — ამბობს ზანგი.

— ჩვენს ქვეყანაში, დიკ, — განაგრძობს მორგვსონი, — მხოლოდ კარგად დაიხსომე... ჩვენს ქვეყანაში, აღამიანმა, ათას წელიწადსაც რომ იცოცხლოს, სიცოცხლე მაინც არ მოსწყინდება.

ზანგს სინზე დაწყობილი ჰქია რძე, შოკოლადი და ბუტერბროდი შემოაქვს, მაგიდაზე დადგამს და წასვლას აპირებს.

— ჯონ, სად არის ჩემი კატა? — კრუსუნებს დიკი.

— რა დროს კატაა, ბატონო დიკ. ჯერ ისაუბრეთ, — შეეხიბებოდა ზანგი.

— სად არის ჩემი კატა, მომიყვანეთ! — იღრინებდა დიკი.

— ჯონ, მოუყვანე! — ბრძანებს მორგვსონი. ზანგი გადის და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შე-

მოჰყავს მსუქანი კატა, რომელსაც ყელზე მწვანე ატლასის ბანტი უკეთია. კატას ძირს დასვა მსუქანი ყოფილებით შეჰყურებს დიკს.

— მარიეტა, მოდი. — უძახის კატას დიკი.

პატრონისავით ღორმუცელა კატამ ზეპირად იცის თავისი გზა. ზარმაცის ნაბიჯებით მისასვლელად მაგიდასთან, მაღლა შეხტება და კეთილი დიკის რძით სავსე ჰქიქას ჰორიზონტალურ მდგომარეობას აძლევს. მაგიდაზე რძე იღვრება და ბედნიერი მარიეტა დარბაისლური სიღინჯით დაუწყებს სლაპვას.

დიკი იცინის, სიცილით იგულებდა. ზანგი ვერ ითმენს პატრონის შეურაცხყოფას, მარიეტას ორჯერ რიგაანად უთავაზებს მუშტს ფერდებში და ძირს გადამოაჯღებს.

— ჯონ, რას სჩადისარ! — ყვირის მორგვსონი.

— მან ხომ რძე დაღვარა, მისტერ, სუფრა დასვარა! — გაუბედავს ზანგი.

— ჯონ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში პირუტყვის შეურაცხყოფაც კი არ შეიძლება! — უსწორებს უოღოტი.

— მისტერ უოღოტ მორგვსონ, მან ხომ უწყისობა ჩაიდინა!

— სულელო, კატას ჰქუა ვინ მისცა! — ყვირის მორგვსონი, ნერვებაშლილი ჯონს მივარდება და ზანგის ზურგზე ამუშავებს.

— კარგი მისტერ, კმარა, გეყოფათ!.. — ტირილით ამბობს ზანგი.

— ჯონ, ხმა ჩივდეთ, ჩვენში ტირილი არ შეიძლება. ჩვენში არავინ არ ტირის!

ზანგი სათქმელს გადაუღაპავს და გადის. მისტერ უოღოტს მორგვსონი მაგიდასთან დაბრუნდება, ხელში ჯონსმომარჯვებული გაჩერდება ისე, როგორც ნამდვილი ღირიუორი გინახავთ და განაგრძობს:

— დიკ, დამთავრე? მაშ დიხსომე: ჩვენს ბედნიერ ქვეყანას ეკუთვნის მეოცე საუკუნე. ჩვენ ღირიუორის ჯოხი გვიკავია ხელში და მსოფლიოს ორკესტრს ვხელმძღვანელობთ. ვაი იმ მუსიკოსს, იმ დამკვრელს, ვინც ჩვენს მუსიკას არ აჰყვება!.. გესმის, დიკ! დედამიწაზე არ არსებობს ჩვენზე უფრო ბედნიერი და თავისუფალი ქვეყანა. არსად ისეთი ამაყი და დამოუკიდებელი არ არის აღამიანი, როგორც ჩვენში.

— ჯონ, ხმა ჩივდეთ, ჩვენში ტირილი არ შეიძლება. ჩვენში არავინ არ ტირის!

— ჯონ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში პირუტყვის შეურაცხყოფაც კი არ შეიძლება! — უსწორებს უოღოტი.

— მისტერ უოღოტ მორგვსონ, მან ხომ უწყისობა ჩაიდინა!

— სულელო, კატას ჰქუა ვინ მისცა! — ყვირის მორგვსონი, ნერვებაშლილი ჯონს მივარდება და ზანგის ზურგზე ამუშავებს.

— კარგი მისტერ, კმარა, გეყოფათ!.. — ტირილით ამბობს ზანგი.

— ჯონ, ხმა ჩივდეთ, ჩვენში ტირილი არ შეიძლება. ჩვენში არავინ არ ტირის!

ჩვენს ეზოში გოგო ბიჭებს თამაშობა გაემართათ, ზოგი მარჯვედ ლახტსა-სკინიდა, ბურთს მისდევდა ზარგი მარდსა...

მოათავეს ყველა წრე და რა იჯერეს გული ამით, მათ ახალი გასართობი წამოიწყეს სხვა პროგრამით: — იცით რა ვქნათ? — უთხრა ერთმა, —

„ხინკლობანა“ ვითამაშოთ: სასაუბრე გავალოთ და ხინკალი და ხაში ეხარშოთ. მე გამგე ვარ, შენ — მომტანი, მოლარედ კი — თინა იყოს, რომ „ზედნადებ“ მოგვებიდან რაც დარჩება — ჩვენ გავიყოს... — გამგელ როგორ გამოდგები? —

შეესიტყვა „გამგეს“ მიხა, — გამგე ხომ მსუქანი უნდა, შენ კი ასე გახდარი ხარ! — ჩამორჩენილს დამიხედეთ, არ სკოდნია წესი ამას; ეტყობა რომ არ იცნობდა ჩვენებთან ნიკას მაჰას.

ის ხომ ნამდვილ ტარანს ჰგავდა, ვის ნახავდი მასზე გამხდარს? — მაგრამ ორსულს დაემგვანა, როს სახინკლეს გამგელ გახდა!

ეს მოტივი მოუწონეს, სასაუბრე გახსნეს ხელად, თაროები გამოაწყეს მუშტრის თვალის მოსაპრეკლად. მაგრამ შტატი არტელისა განალავეს ისერიგად, რომ მათ შორის მომხმარებლად დარჩა მხოლოდ ერთი გიგა! მზარეულმა მისი კერძი გზაზე ისე შეათხვლა, რომ ვეება ხინკლისაგან

დარჩა ხორცი — თხილისხელა. გიგა სჭამს და კვლავ თხოულობს, სჭამს და მაინც ვერა ძღება, — ეს რა სულის სალევია? — ბოლოს ბრაზით ეკითხება.

— რა ვქნათ, ძმაო, ეს ხინკალი იყო როგორც ბურის გუნდა, მაგრამ სანამ მოგართმევდი, შეთხვლდა და დაძაბუნდა: გამგე გეყავს და გამხდარია, რომ გასუქდეს — ჰამა უნდა, შტატში ვინც ვართ, ოჯახების ვალი გვადევს ყველას ხუნდად, „ზედნადები მუშტრები“ გეყავს — ერთი სიტყვით, ჰამა უნდათ!..

და საქმეს რომ ჩავუყვირდეთ, ჩვენ ერთ დასკვნას გამოვიტანთ: თუ შენს ხინკალს არ მოვაკლებთ — სახლიდან ხომ არ მოვიტანო?

განმარტება, მომხმარებელს ვერ აძლობს და მოაქვთ „ბლუდი“, ლუკმა ყელში ეჩხირება, დააყოლოს უნდა ლუდი! გამგე ყვირის: — „აქაფეთ!“ და მომტანს კი — მიაქვს ფული, და ნამდვილ ფასს მიემატა „ზედნადები“ აქაფული.

თამაში რომ გაათავეს, ყველა დარჩა მოგებული, გამგეს — უქვე ღიბი ჰქონდა, სხვებსაც — ჰქონდა მოდებული. გამხდარ გიგას კი მათ კითხვით უთხრეს: — კბილებს რაზედ იღეს? — ხუმრობა ხომ არ გეგონა? ვითამაშობდით სინამდვილეს.

— ჯონ, ხმა ჩივდეთ, ჩვენში ტირილი არ შეიძლება. ჩვენში არავინ არ ტირის!

— ჯონ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში პირუტყვის შეურაცხყოფაც კი არ შეიძლება! — უსწორებს უოღოტი.

— მისტერ უოღოტ მორგვსონ, მან ხომ უწყისობა ჩაიდინა!

— სულელო, კატას ჰქუა ვინ მისცა! — ყვირის მორგვსონი, ნერვებაშლილი ჯონს მივარდება და ზანგის ზურგზე ამუშავებს.

— კარგი მისტერ, კმარა, გეყოფათ!.. — ტირილით ამბობს ზანგი.

— ჯონ, ხმა ჩივდეთ, ჩვენში ტირილი არ შეიძლება. ჩვენში არავინ არ ტირის!

— ჯონ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში პირუტყვის შეურაცხყოფაც კი არ შეიძლება! — უსწორებს უოღოტი.

— მისტერ უოღოტ მორგვსონ, მან ხომ უწყისობა ჩაიდინა!





— აგარაკში ასეთ დიდ ფასს თხოულობთ და ოთახი კი ისე უსუფთაოა, რომ შიგ კაცი გაიგუდება.  
— რას ბრძანებთ, ეს საქონელი სულ შიგა მყავს, მაგრამ ერთიც არ გაგუდულა!

### „იზოლდას“ იმედები

ივლიტე ნამდვილი სახელია, გვარი თვალისაშვილი. ამ სახელ-გვარით ცხოვრობდა ის ქუთაისში, ვიდრე მისი ქმარი ტერენტი არ მოეწყო პურის გამყიდველად. პირველ წვეულებებისთანავე (ბანკეტზე) ივლიტემ სტუმრებს განუცხადა, რომ მისთვის ამიერიდან დაეძახათ „იზოლდა“, ვინაიდან ივლიტე ჩამორჩენილი ქალის სახელიაო.

განშირდა „იზოლდას“ ოჯახში ქეიფი. ყველაფერმა ფერი იცვალა. მეზობლის ქალები ურჩევდნენ „ივლიტე დანათლული სახელია და ნუ გადაირქმევ, არ ვარგაო“. იზოლდამ მათ ცხვირწვევით განუმარტა:

— ჩემი ნათლობა ვერ შეედრებოდა იმ ქეიფს, რომელზედაც ეს სახელი პირველად მიწოდეს, ჩემი „ტრისტანის“ თლათ უფროსები იყო იმ საღამოს.

— ვინ არის ტრისტანი? — ჰკითხეს მეზობლის ქალებმა.

— ვინა და ჩემი ტერენტი. ურჩიეს საზღვარგარეთული სახელი სჯობიაო, ცხოვრების პირობები რომ შეიცვალეთ, სახელებიც უნდა შეიცვალოსო — გვითხრეს. რომ იცოდეთ — როგორ შეიცვალა ჩემი ტრისტანის ხასიათიც! ამ სამაისოდ ექვსი ყვერული ვიყიდე, მაგრამ ყველას ერთმა ინდაურმა აჯობა. ტრისტანი მაინც გაჯიუტდა, გოჭი და ციკანი დაამატა, ოხ... აღარ შემიძლია, იმდენი სტუმრები იყო, რომ პაპიროსის სუნი ეხლაც დგას ოთახებში.

— ღმერთმა მოგცეს შნო, ჩემო ივლიტე...  
— რატომ გინდა მაწყენინო? — დამიძახეთ იზოლდა, ტერენტის კი — ტრისტანი. ისედაც ანევირანებული ვარ, თავი მოსაკლავად მაქვს გამზადარი.

— ღმერთო ამოწვადე სული, რა მოხდა ჩემო ივლი... ი-იზონტა!  
— თერთმეტი ზაგრანიჩინატრეზი მაქვს და მოდა ვერ შემირჩევია როგორ შევიკერო! ამისთანებში ხომ ქუთაისი ძალზე ჩამორჩენილია. ტრისტანმა მირჩია — თბილისში ოპერის პრემიელას დაესწარიო, იქ აუნდითორია არისო და იმაში აირჩევ მოდებსო. ოხ, ტვინი, ტვინი გამიხვრიტა ამდენმა ფიქრმა. ახლა ამას დაქმატა ტრისტანის ხევრიანობაც: „ქუთაისში არ ღირს ცხოვრებაო, ინტრიგანებთან არის სავესე და თბილისში უნდა გადავიდეთო“. მოგვკვდი, აღარ შემიძლია.

— მაგახე მეტი საჯავრებელი ნუ მოკცეხა ჩემო, ჩემო ი...  
— იზოლდა! ქალო იზოლდა! ბეჩა, ასე რამ გამოაკაყუყუა?... ახლა იძახიან: გაკეთდა ტრისტანი, ამ სამ წელაწადში ოქოაუბა შეიძინაო და შიშით ველარაჟურა გვიყიდიო.

— ქე უნდა შეიძინო, აჰა! მაგი არავისათვის არ არის დასამალავი. ამბობენ შენი ქმარი პურის კაოსკზე 200 ოჯახია მაპაკრებუ-

ლიო, ახლა მინიმუნი დღიურად 50 გრამი — თითო ოჯახიდან — რამდენი იქნება თვეში.

— ჩემი მტრების სიტყვებს იმეორებ ჩემო ანგელინა, ჩემი მტრების.

ასე მიდიოდა თვეები და დღითიდღე იზრდებოდა იზოლდას პრეტენზიებიც. მალე ორი კვირით „იზოლდა“ თბილისში, ნათესავთან წავიდა. ძალიან მოეწონა ქალაქი. დაბრუნება აღარ უნდოდა. მაგრამ ქმარმა სასწრაფოდ გამოუძახა. მატარებელში ერთ კონდუქტორს გამოეცნაურა, გამოჰკითხა სად ცხოვრობს და შემდეგ შეუკვეთა:

— თუ თვალისაშვილის ოპერის ახლოს ბინას მაყიდვინებ — კარგ საჩუქარს მოგცემო. კონდუქტორიც შეპირდა. „იზოლდა“ გახარებული და ცხვირწვეული ქუთაისის სადგურში შემოვიდა. არ მოეწონა კაროვის ქუჩა. საფიჩხისაკენ აუხვია. ერთი ოჯახიდან ტირილი შემოესმა, ვილაც გადაცვლილიყო.

— ოხ! როდის გავშორდები ამ ქალაქს!.. იქ, ოპერაში, კაცია, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა ყველა მღერის, ცეკვობს, აქ კი ტირილი და ინტრიგაა. არ მინდა, უნდა წავიდე...  
— ტრისტან! რა მოგივიდა?... რატომ ჩამოგტირის ცხვიმპირი?... ოთახში შესვლისთანავე მიიძახა ქმარს „იზოლდამ“.

— რა მომივიდა?... ხომ გითხარი — ქუთაისში ცხოვრება არ ღირს მეტქი. 150 გრამი პურის დაკლებსათვის პასუხისგებაში მიმცეს.

— მერე რა?! იმ ინტრიგანებს დაუჯერებენ?..  
— ფაქტი დაჭერილია.  
— ვინ იყო მაგი ფაქტი? შენი თანამემწეა? რატომ დაიჭირეს?..  
— ვინ იყო... ფაქტი — ეს მომზადარი დანაშაულია, — ფაქტი დამიჭირეს.

— არაფერი მესმის. მე უფრო კარგი ემზავი მოგიტანე. პრავადნიკმა შეპირდა ზე კაკალ ჩემი მეგვარე თვალისაშვილის ოპერის წინ გაყიდვებ ბინასო. ასე რომ ყოველ ღამე მოისმენ სიმღერასო.

— რაღა გემდერება, როცა შენს ტრისტანს 3 წლის თავისუფლების აღკვეთა მოეღოს?  
— რას ამბობ, გინდა გადამბრიო თუ? მაშ საკასტუმეები მოდისკას აღარ მიფუტანო?...  
— საკასტუმეები კოლდა კლდისაშვილს მიუტანე საკომისიოში!

ქოსტაილი






— გადაფასეთ საქონელი?  
— დიახ, აი ამ წიგნის თაროს 29 მან. და 41 კაპ. იწერა და  
ეხლა შევცვალეთ.

ბაზრის ექიმის გავლენით

ნახ. ა. კანდელაკისა



— გაიგე? ჯიბვირმა აღიას კარაქის ანალიზი გაუკეთა.  
— როგორ თუ ანალიზი?  
— ვა, ვერ მიხვდი, კილონახევარი კარაქი მოსტაცა.



ზარმაცი, ცუდი მენაძრე, ალბათ გინახავთ სუყველას,  
ცეცხლის ჩაქრობას ვინც ცდილობს მთქნარებით, ძირს დაუხრელად,  
ახარეთ, აღარ შეწუხდეს, ცეცხლს თვითონ აქრობს ლუგელა.

რა სჯობია?

„თბილპურვაჭრობის“ № 5 წერტის გამ-  
ყიდველი რომან პავლიაშვილი მომხმა-  
რებლებს წონაში ატყუებს.

სასწორს ისე ათამაშებს,  
ვით მედოლე—თითებსა,  
პურს იპარავს, როგორც ღამით  
მელაკულა იხვებსა.  
თუ გაუგეთ ბაცაცობა,  
შემოგყვირებს, ახტება,  
გეტყვის: „ას გრამს თუ დავაკლებ,  
ამითი რა წახდება?“  
წერტის გამგეს თუ უამბეთ  
გამყიდველის ფანდები,  
დაგაწყნარებს და გისურვებს  
გაიქარვო დარდები.  
გეტყვის:—ძმაო, რას ხლაფორთობ,  
რა გაქვს გულში ნადები?  
ოქმს მოეშვი, მაგ ინტრიგას  
არ სჯობია მწვადები?!

მ. კალმოსანიძე

სააგარაკო ვაგებელია


ზოგისთვის დადგა ზაფხული,  
ჩემთვის—ისევ ის ზამთარი,  
ამ ჩემმა „მზეთუნახავმა“  
სულ ამირია დავთარი.  
ჩხუბს მიწყებს:—მსურს დავისვენო,  
მომენატრაო ბორჯომი,  
სააგარაკოდ გამგზავნე,  
თორემ ვაგლიჯე ქოჩორი.  
რომ ვუთხრა ტკბილი ქართულით,  
— რათა ღამაზო, რათ ავრე,—  
ის მაინც თავისას ამბობს,  
მისი სიტყვები გადაგრეხს.  
მოვეფერები, მივმართავ:  
ჩემო ყველა და სილაღე,  
ის კი ჰა... „დაჩაღ“ გამგზავნე,  
თორემ ცხვირპირი გინაყე.  
ო, ტრაგედია შემექმნეს  
ცოლმა და აგარაკებმა;  
ქუჩაში სიტყვ მაწუხებს,  
შინ—ცოლი არა ნაკლებად.

მიწლი ველგუჯაშვილი



(სოხუმი)

ჰე, სოხუმო, ზღვისქალაქო, ზღვისფერო,  
 ნება მომეც, ჩემებურად გიმღერო,  
 შენ თბილისის დაო, ტურფავ, ლამაზო,  
 მსურს მეგობრულ საყვედურით აგავსო:  
 ზღაპარია სწორედ დაუსტამბავი,  
 შენი ფარის საათების ამბავი,  
 ქუჩებზე რომ გაჭიმული ჰკილია —  
 დამიჯერე: ყველა ცრუ და ფლიდია!  
 ერთი ამბობს: ზუსტად ცხრა საათია,  
 მეორე კი — ახლა შვიდის ათია,  
 ჰა, მესამე დასძენს უფრო ჰკვიანი:  
 — ნულარ დარდობ, ნუ გგონია გვიანი,  
 ღამის თორმეტს ექვსი წუთი აკლია,  
 პროგრესულად რომ ვიარო, ნაკლია?  
 ეს მეოთხე კაპასობს და ბრაზდება.  
 — ამათს ხელში, განა, ღვაწლი ფასდება?  
 როგორც ბრძენ კაცს, დაფიქრება მჩვევია,  
 რათ ვიჩქარო, დრო და უამი ჩემია!  
 შუადღეა, მე კი რიყრაქს ვაჩვენებ,  
 სულსწრაფ მგზავრებს ვამშვიდებ და ვასვენებ...



- ნემსი გაქვთ?
- არა!
- კბილის ჩოთქი?
- არა!
- ნაფტალინი?
- საერთოდ, ასეთი წვრილმანები გვერდით იკითხეთ!

ჰე, სოხუმო, საყვარელო ქალაქო,  
 გთხოვ, ეგ შენი საათები ალაგმო,  
 ან ასწავლე თავის დროზე ტრიალი,  
 ან თავიდან მოიშორე, ტიალი!

სტუმარი

### დანჩხუთის სამკითხველში

„კულტურის სახლის ერთ ოთახში მოთავსებულია  
 სამკითხველო, რომლის გვერდით ოთახში სასულე  
 ორკესტრი მეცადინეობს.“

სამკითხველოში შევედი,  
 იდგა მაისის დარი,  
 ხელში ავიღე გაზეთი,  
 კითხვა დავიწყე წყნარი.

მაგრამ უეცრად იგრგვინა,  
 შეგკრთი და ელდა მეცა,  
 მეგონა — სახლი დაინგრა,  
 ან ჩამოიქცა ზეცა!

იკოცხლეთ, სკამს ქვეშ შეძრომა  
 ვიკადრე ბოლოს მეცა!  
 ვიკითხე, — მიტხრეს: — გეგონა  
 თითქოს დაინგრა ცაო?!  
 ზარბაზნის ხმად რომ ჩასთვალე  
 ბარაბანია ძმაო,

ქალის კივილად რომ გესმა —  
 გახლდათ კლარნეტის ხმაო,  
 ორკესტრის რეპეტიცია  
 თქვენ რად გეგონათ სხვაო?!

გეტყობათ ჩამოსული ხართ,  
 არ იცნობთ ამ ჩვენს წესსო,  
 ჩვენ, ძმაო, ასე ვკითხულობთ  
 სულ მუდამ გაზეთებსო,

„მუსიკანტები“ აკლიათ,  
 სუსტად უკრავდნენ დღესო,  
 და გთხოვთ, თბილისში, ძმობილო,  
 ნიანგს გადასცეთ ესო.

კ. გელათელი

### ერთი სოფლის კოოპერაზიაში

ნახ. გ. თომაშვილისა



- შვილო, ხელის საპონი გაქვთ?
- რას ამბობ, დედი, ხელის საპონი რათ გვინდა, —  
 ჩვენთან თითონ ხელი ხელსა ჰბანს!



პატივცემულ ნიანგო!



ამ პატარა ბარ. თს გიგზანნი ხულოს რაიონის სოფელ პაქსაძეების კოლმეურნეობის ბოტა თხა. საქმე იმაშია, რომ მე და ჩემი ოჯახის წევრები სასოწარკვეთილებამდე მივედით კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა გულცივი დამოკიდებულების გამო. ეს მამაცხონებულები სულ იმას გაიძახიან: „არა გეცალიან, არა ზეცალიან“, აქეთ-იქით დარბიან და ჩვენ ბოსელში ვართ გამომწყვდეულნი. როცა რომელიმე ჩვენგანი სულის განტევების საზღვარს მიაღებდა, წამოაქცევდნენ, ყელს გამოდარავენ და შეიქნება შამფურების ტრიალი. იქნებ თქვენ მაინც შეეკითხოთ, პატივცემულ ნიანგო, ჩვენი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, ასე დატვირთულები რომ არიან სამუშაოებით, მწვადების შეწვისათვის რა გორლა იცლიან.

ბოტა კიკინაძე

ქვირუასო ნიანგო!



პირდაპირ საოცარი გამოგონებლები არიან ვანის რაიონის სოფელ მჭედლოვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კერელიშვილი და ბრიგადირი ბენია ლვინიანიძე. ამ ვაჟბატონებმა რატომ-

ღაც იფიქრეს, რომ კოლმეურნეობას სათესი მიწები არ ჰყოფნის და გადაწყვიტეს საიდანმე შემოემატებინათ ასეთი. ბევრი იფიქრეს, თუ ცოტა, არავე იცის, მაგრამ ბოლოს ასეთ გამოგონებას მიმართეს: აიღეს ნავთი და ასანთი, ეწვივნენ სოფლის ტყეს, წაუკიდეს ცეცხლი და კოლმეურნეობას სათესი ფართობი შემატეს.

საინტერესოა, ძვირფასო ნიანგო, როცა კარზე ზამთარი მიადგებათ და ყინვა მოუჭერს, ეს საოცარი გამოგონებლები, ღუმელში, აღნიშნულ მიწაზე მოსულ თივის შეკეთებას ღმ არ აპირებენ.

ვანელი

ქაპო ნიანგო!



გაგეგონებთ იმ უტყუო მამლის ამბავი, რომელმაც ნაგავში მარგალიტი იპოვნა და სთქვა: „აჰ, ნეტავი სიმინდათ გადაიქცეოდესო“. ასეთივე შეუგნებელი მამლები და დედლები ჰყავს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ზემო წამოფარის კოლმეურნეობას. საქმე იმაშია, რომ ამ კოლმეურნეობის წევრებმა უ. კირკიტაძემ, ე. ლულუნიშვილმა, ფ. გეგაძემ 12 გრამი თესლიდან გამოიყვანეს აბრეშუმის ჭია. ჭია იზრდებოდა და აბრეშუმს გვირგვინი იქონიდა, მაგრამ მივიდნენ ჩვენი შეუგნებელი ქათმები და სულ ერთიანად გადასანსლეს. კოლმეურნეები თავმჯდომარესთან ერთად გაბრაზდნენ ამ შემთხვევის გამო და ქათმებს საყვედური გამოუტანდნენ. მაგრამ ჩვენ ერთი გვანტერესებს, ძმაო ნიანგო, შეიძლება თუ არა, კაცს ქათმის ტყუა ჰქონდეს და მეაბრეშუმეობას მოჰკიდოს ხელი?

მეაბრეშუმე

ამხანაგო ნიანგო!



ლენინის სახელობის ტყიბულის შახტის პურის კიოსკის გამგემ ამასწინად უცნაური სიზმარი ნახა. ეჩვენა, ვითომ მინებამიტყრეულ, აობრებულ კიოსკში ღორს დაესადგურებინა და ვაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული. ღორს თეთრი ხალათი ეცვა, დიდი დანა ეკავა ხელში და მუშტარს ელოდა. მოვიდა მეორე ღორი.

— ხორცეულიდან რა გაქვთ? — შეეკითხა მოვაჭრე ღორს.

— რა გნებავდათ?

— კიოსკის გამგის ქონს თუ მომყიდი, დამარილებულს, ძალიან დაგიმადლეს!

— ქონი გამითავდა, ვიჩინად გამოყვანილს მოგართმევთ!

ამ სცენამ იმდენად ააღელვა კიოსკის გამგე, რომ საშინლად დაიკვილა და გამოეღვიძა. გამოეღვიძა, კიოსკს მიაშურა და ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ სიზმარი 80% აუხდა. (ოც პროცენტში კი ის შედიოდა, რომ ღორს თეთრი ხალათი არ ეცვა და კიოსკის გამგისგან გამოყვანილ შაშხით არ ვაჭრობდა).

ერთი რამ გვანტერესებს, ამხანაგო ნიანგო, კიოსკის გამგე თუ სიზმარში მაინც ხედავს თავის გაჭირვებას, შახტის წუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელები რას აკეთებენ, სიზმარში ან ცხადლივ იმათაც ხომ უნდა ნახონ უყურადღებოდ მიტოვებული კიოსკი?

აკაური

პატივცემულ ნიანგო!




ახლახან შევიძინე უკანასკნელად გამოცემული „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასის“. თქვენც მოგესვენებთ, რომ ეს წიგნი ფრიად საინტერესო წასაკითხია და ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ მეოთხე გამოცემა გამოვიდა. ძალიან რომ არ გავაგრძელო, თურმე წიგნის ყიდვამიც ილბალი ყოფილა. მე რომ ეკზემალარი შემხვდა. ასეთი, არ გიცი ბევრს ერგო თუ არა. ჩემ წიგნში, ის ფრიად საინტერესო ამბავი, როცა ტრისტანი ოქროსთმიან იზოლდასთან გადაცემული მრდის, ჯერ კეთროვანისა, შემდეგ კი გიქის სახით, — ორჯერ არის შეტანილი (ე. ი. სულ ოთხჯერ, ორჯერ კეთროვანია, ორჯერ — გიქი). ეს სულ ადვილად არის მოხერხებული: წიგნში გამოტოვებულია მე-13 ფორმა (ცამეტი თარსი ციფრია და ალბათ ამის გამო), სამაგიეროდ მე-14 ფორმა ორჯერ ჩაუყურებიათ, მე არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ასეთი საინტერესო ეკზემალარი შემხვდა (ვინ იცის გამოტოვებულ 16 გვერდში როგორი უინტერესო ამბავი იყოს).

ბუნება ახმაკება

ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინების კოლმეურნეობის სახურავი ჩანგრეული აქვს, წვიმა ჩამოდის.

ზუგდიდელი

ნახ. ლალისა



— სულ რომ ასეთი დარბი დაიჭიროს, ნავთის მარაგი ორ წელიწადს შეკოფა!..

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ წიგნის მთელი ტირაჟი ასეთი საინტერესო გამოცემა? როდის იყო, რომ ერთი და იგივე წიგნს, ნაცნობებისთვის საინტერესო ვარიანტს ჰყიდდნენ, უცნობებისთვის კი ნაკლებსაინტერესოს? ამის შესახებ იქნებ სტამბის მოხალტურე უწინმდებელმა გვიპასუხოს.

მკითხველი

ამხანაგო ნიანგო!

1945 წელს საგარეჯოს რაიონის კომუნალური განყოფილების მუშაკებმა თავიანთ სამუშაო გეგმაში ისეთი რამე შეიტანეს, რომელიც აქამდე საგარეჯოელებისათვის ფუფუნებად ითვლებოდა: გადაწყვიტეს მოეასფალტებინათ მთავარი გზა.

გზის მოასფალტებისათვის, მოგეხსენებათ, უპირველესად ყოვლისა საჭიროა ფისი. ამუშავდნენ ამ საქმისთვის განკუთვნილი მუშაკები და რამოდენიმე დღის შემდეგ მთავარი გზის დასაწყისი კუბრით შევსდა, სარკესავით პრიალა ფისმა მოთხუბნა.

კომუნალური განყოფილების მუშაკებს გარდა, საქმე გაუჩნდათ საგარეჯოელ ბავშვებსაც, დაიწყეს ფისით თამაში.

ერთხელ მოხულიგნო ბავშვებმა მოიყვანეს ერთი ბიჭუნა და ახალი შარვლით ფისზე დასვეს. ბიჭს პირველად ესამოგნა ასეთი ხუმრობა და თითონაც გაეცინა, მაგრამ როცა წამოდგომა სცადა, ფისტრაგედილის უფრთიულა დაიწყეს: ექაჩებოდა ბიჭი საკუთარ თავს, ფისი არ უშეკებდა. ღონეს იკრებდა ბავშვი, ცდილობდა საგარეჯოში ახალშემოჭრილ ტექნიკის საოცრებისათვის თავი დაეღწია, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბიჭი ძალზე შეეცოდათ მეგობარ ბავშვებს, ერთიმეორეს ჩაეჭიდნენ, დახარალებულს ხელი ჩაჰკიდეს, „ერთადო“ იძახდნენ და „ტყვეს“ ექაჩებოდნენ. მაინც არაფერი გამოვიდა. მაშინ ამ ამბავს მოუწრო სოფლად ბრძენ კაცად ცნობილმა მოხუცმა, მივიდა ბავშვთან, გახადა შარვალი, შარვალი გაჯიუტებულ ფისს დაუტოვა და ცრემლად დაღვრილი, ტიტვლიკანა ბიჭი სახლში გაავლო.

კომუნალური განყოფილების მუშაკებმა თქვეს:

— ჩვენი მოტანილი მასალით თუ სხვებმა იმუშავეს, ეს ხომ აქტივში არ ჩაგვეთვლება! — თქვეს და ფისი, იქვე, სახელდახელოდ ამოთხრილ ორმოში ჩაუშვეს.

მაგრამ ბავშვები უფრო ეშმაკები გამოდგნენ: მოძებნეს ჯოხები, სახრები, კეტები და ამ იარაღის დახმარებით მაინც აღწვედნენ ფისით ხუმრობას.


კომუნალური განყოფილების მუშაკებს მოსწყინდათ ასეთი ხუმრობის ყურება და ფისის ორმოს მიწა დააყარეს. დააყარეს მიწა, დატკაპნეს და მიატოვეს.

მას შემდეგ ორი სრულდლიანი წელიწადი გავიდა. რაისაბქოს ორი თავმჯდომარე გამოეცვალა, კომუნალური განყოფილების მუშაკთა თავში ორმოცდაორი აზრი გამოიკვალა და საგარეჯოს მთავარი გზის თავთან უპატრონოდ მარხია სახელმწიფო ფულებით შექმნილი ფისი.

ფისი ორმოში მარხია, ამხანაგო ნიანგო, მაგრამ გეგმა? გეგმა საით გაფრინდა?

საგარეჯოელი





— აქაც უნდა მაჯობო? ბოთლ წყალში ათ თუმანს ღებულობ, „მე“ ნაღდი კახური თავის ფასად ვერ გამიყიდნია.

ექიმ მუხურაძის რეკომენდაციით ღუგეღა მოუხდება:

1. ჩვენს ფუნქციონირებს მოსკოვში თამაშის დღეებში (თბილისში თამაშის დროს არაა საჭირო).
2. წვალ-წვალა ლექსების ავტორებს, როცა ზოგჯერ ღვინო და სხვა მაგარი სასმელები ვეღარ შეუღლის. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებს ძარილი შეემატება (ღუგეღაში ბლომადან ძარილები).
3. ესტრადის მსახიობებს (ღუგეღა ინახავს დამკვეთებისა და გაფუჭებისაგან, მაგალითად სორცს, ასევე სასარგებლოდ მოქმედებს ოცი წლის წინანდელ საესტრადო რეპერტუარზე).
4. ავარიულ მდგომარეობაში მყოფ სასლებს (ისეთ შემთხვევაში, როცა სახლმმართველი სახლის შესაკეთებელი ფულით თვითონ „კეთდება“).




ღევაჯი, განა ყოვლისშემძველ „და სხვაში“ ისიც არ იგულისხმება?

ასეთი „უარყოფის“ შემდეგ ლუგელა-მუხურის წყლის „სასწაულო მოქმედების“ ამბავს სიმტკიცე ემატება, იგი ღებულობს ავტორიტეტულ „კურთხევას“, ყველასათვის დამაჯერებელი ხდება და მნიშვნელობას უკარგავს ამ მართლაც დიდად სასარგებლო და იშვიათ სამკურნალო წყალს.

არა გჯერათ? — წაიკითხეთ ზემოხსენებულ გაზეთის ა. წ. 3 ივნისის ნომერში სათაურით „ლუგელა-მუხურის მინერალური წყლის შესახებ“ — წერილი, რომლის ავტორსაც აქ განზრახ აღარ ვასახელებთ.

— ახალი მომღერლის გასტროლია?  
— არა, ექიმ მუხურაძის მორიგი ლექციაა.





...საქართველოს სოფლის მეურნეობის დაჯგუფების კვლევის არის სერიოზული მკვლევარები...  
ნახ. ა. ა. (ბ) - მანბრალური უმცირესობის  
გადასწავლის უმცირესობის




1. ფესვის გეგმა 200% შესრულდა. უნდა დაე-  
თესა 120 ჰექტარი, დათესა 240 ჰექტარი.



2. ამ ორასორმოც ჰექტარზე მალე ამოვიდა  
„გეგმა“.



3. მოხელის აღების გეგმა ვალდებულად  
რუდა. უნდა აეღო 30 ლტში, ახლ ლტში.



ჩანწერე, კალიბრა, გახვალში, საკომლენტურეო  
ქონების განაგების წინააღმდეგ მოწვეულ გამგეობის  
თაობაზე დაიხარჯა 4 გოკი, ერთი ფუთი კაღი, ორი  
საბაღე ღვინო და ერთი სიტყვით, დანარჩენი წვრილ-  
მანი შენ თითონ იცის!..

რიცხვების კანტორასთან



მიიღეთ მოწყალება, მეც ხომ პირუტყვი ვარ! უთხარით კომ-  
მეურნეებს ამიყვანონ მათი პირადი მზარუნველობის ქვეშ და რჩესა და  
კარაკს არ მოვკლებ  
...თავი დაგვანებე, შენთვის სადა გვეცლიან, ჩრისა და კარკის  
დასამზადებლად მივდივარო!..

იღბალს დაბერალ




1. აი, მესმის მცენარე, ყოველწლიურად არც დათეს-  
ვა უნდა და არც გადარგვა-გადმორგვა..



2. ყველაფერს, თურმე, იბაბოი უნდა..

რაციონალური წინააღმდეგობა



ამ მტკ-მან მუშაუბებს, რომლებიც ტრაქტორების ნაკლებობაზე გააყვირიან და ფაქტორულ ტრაქტორებზე  
კაღვრებს იმ ამწაღებენ.

მოდის მეგობრობა



ქა, მგონი ღია ირსულად ირის..  
ორსულად კარა, სიამაყის გემო იგრებდა, თავი მოს-  
წონს რომ წველებსა შეკავს და თავისუფლად დაეცო-  
ნის.



აკომისიის“ დასკვნით,  
...როგორც განკვეთი აღსებურებს, საწყალ დაფ-  
ლას სამი ავადმყოფობა უკინია: უპატრონობაგია, ხმბ.  
შელოტობი და ყურფულაგია. ახა, ჩვენე წამალი რას უშველიდა..



საათმა ღამის თორმეტი დარეკა. კაბინეტის თაროზე მდებარე დამტვერიანებული „გასული ქალაღდების“ ყდა ნელა აიხდა და მისი ყვითელი ფურცლებიდან კრუსუნით გამოჩოჩდა გამხდარი ბერიკაცი—დრო-ჟამისაგან შეხავსებული თხელი წვერებით. მას ჩრჩილისაგან დახრული, გაცრეცილი პალტო ეცვა და ქურქის ქუდი ყურებზე ჩამოფხატვოდა.

— ვაი ჩემი ცოდვა, ვაი ჩემი ბრალი, — წაიკრუსუნა ხრინწიანი ხმით მოხუცმა, და ყდის ზურგზე ჩამოჯდა.

— ბაბუა ჭიანჭურს ჩვენი პატივისცემა, — ღომიღნარევი სტვენით შეეხმაურა მას „შემოსული ქალაღდების“ ყდიდან გამომძვრალი ბებერი ხოჭო, — რაო? ჰაერის ჩასაყლაპად გამოხვედი? რასა იქ, როგორ ცხოვრობ?

ამ სიტყვებზე ხოჭომ სამელნის ქიმზე მოიკალათა.

— ცუდად, ჩემო მეგობარო, ცუდად! — მიუგო ამოხვრით მოხუცმა, — ან კი რალა საკითხავი ვარ, როცა ყოველი მხრიდან მიტევენ დაჩაჩანაკებულ, უძლურ მოხუცს, ყველა დაწესებულებიდან მადევებენ, მდევნიან: „გავაძეგოთ, აღვეგეთოთ, მოვსპოთ საქმის გაჭიანჭურებაო“ — გაიძახიან. აღოსად მაჭაჭანებენ. სახელად „ჭიანჭური“ შემარქვენს. ხომ იცი სახელების შემოკლებაც მოდაშია. საქმეების გაჭიანჭურება — ეს ჩემი ნათლობის სახელია. ვცხოვრობდი ჩემთვის, ვაჭიანჭურებდი, ვახავსებდი საჩქარო საქმეებს და ჩემი წყაღობით გამოთავანებული, გულგამოფიტული ბიუროკრატები ხელს ითბობდნენ ჩვენს დაწესებულებაში. ეხლა კი: „დასცხეთ ჭიანჭურსო“ გაიძახიან. მერე სად წავიდე, სად წავიღო ბებერი ძვლები? შენც კარგად მოგეხსენება რა გაჭირვება საცხოვრებელ ფართობზე, სადაც მივალ — კარებს მომიჯახუნებენ და მომძახიან:

— არა ბაბუა, საქმის გაჭიანჭურება ჩვენ უკვე აღმოფხვრით, ახლა ის დრო აღარ არის, როცა ჩვენს დაწესებულებებში პარპაშობდით.

— მართალია. მეც მშვენივრად გხედავ, რომ ახლა ის დრო აღარ არის, ახლა სხვა ყაიდაა: ესაო — დავაღების ვაღაზე აღრე შესრულებაო, — ვინ მოსთვლის? ოღნავი დაგვიანება, მცირე ჩამორჩენა და გინდა თუ არ გინდა — ისევ მე მომდგებიან, მირტყამენ, მდევნიან, ძველ ქალაღდებშიც კი აღარ მასვენებენ. სად წახვალ ასეთ პირობებში?

— დიახ, ბაბუა, მართალი შეგიტყვია, — მიუგო ხოჭომ და პაპიროსის ნამწვიდან ნაცარი ფრჩხილით გადაყარა, — მართლაც დასამარებულის მდგომარეობაში ხარ, მაგრამ იცი რას გირჩევ ბაბუა ჭიანჭურო? მოდი, სცადე ბედი კოოპარტელში: ამბობენ, იქ შენი საქმე ჯერ კიდევ ბლომადაა, იქ მყუღროდ და უღარდელად ირჯებიან შენისთანა მოხუცნი, ასე ვთქვათ, შენისთანების დასახურებას კიდევ აფასებენო.

მისცა ეს რჩევა, ხოჭომ შეუსტვინა და შრიალით შეცურდა არქივის ქალაღდების კონაში. ბაბუა „ჭიანჭურს“ ჭკუაში დაუჯდა მისი დარიგება და ხრინწიანი ხველებით გაემართა კარებისაკენ.


ერთხელ, საუზმის დროს, არქივის მტვრიან ქალაღდებში იგივე ხოჭო უამბობდა თავის მეგობარს:

— ამბობენ, ჩვენი მოხუცი ბაბუა „ჭიანჭური“ მშვენივრად მოწყობილა ერთერთ კოოპარტელში, თავს ჩინებულად გრძნობს და ამოწიწკნილი წვერები საუცხოოდ ამოზრდიაო.

6. ანაზვილი

ნახ. ლაღისა

კარგად ვერ ეხმარება



— ცოტა მაგრა მოუსვი, ძიაჯან, ცოცხი, ყველაფერი ჩანს, ვერაფერი აგვიწვია!



# შემთხვევა თეატრში



ქალაქის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ჭადაროსანი ვახტანგ თეთრადე, ნაშუადღევს ჩვეულებრივ სახლისკენ მიდიოდა. „სოიუზტრანსის“ განყოფილებასთან მან თვალი მოჰკრა ნახევრად სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მოქალაქეს და ცნობისმოყვარედ დააკვირდა.

— ის უნდა იყოს, — ჩაილაპარაკა მან ბოლოს და მისკენ გაეშურა.



— არასგზით დღეს არ გაგიშვებ! დღეს ჩემთან იქნები სადილად!

— დომენტი, ბიჭო, ჩემო დომენტი! — შეჰყვირა ახლო მისვლისთანავე და გადაეხვია.

ვახტანგმა მკლავში ხელი გაუყარა დომენტის, საკმაოდ ბევრი ესაუბრა და ბოლოს უთხრა:

— არასგზით დღეს არ გაგიშვებ! დღეს ჩემთან იქნები სადილად! ამალამ პრემიერა მაქვს თეატრში, მას დაესწრები, ხვალ დილას კი მე თვითონ გაგაცილებ.

საკმაოდ ბევრი უარის შემდეგ, დომენტი დაეთანხმა თავის მეგობარს და ორივემ ვახტანგის სახლისაკენ გასწია.

\* \*

კარგ გამასპინძლებისა და მშვენიერი სადილის შემდეგ შეზარხოშებული დომენტი ვახტანგმა თეატრში წაიყვანა, თავის ლოჯაში მოათავსა და წარმოდგენის დაწყებამდე თვითონ კულისებში შევიდა.

პიესა სამამულო ომის თემაზე იყო დაწერილი. პიესის ერთერთი მთავარი გმირის — გერმანელი ოფიცრის ჰანს შვაბეს როლს გივი ასრულებდა.

— აბა, შენ იცი გივი, ჩემს ლოჯაში იმყოფება სამამულო ომის მონაწილე, წითელი არმიის მეომარი და შემდეგ ცნობილი პარტიზანი დომენტი. მას 187-მდე გერმანელი ჰყავს მოკლული. სცენიდან აღმაცერად მაინც გადახედე, თუ შეამჩნიო, რომ ის აღელდა, მაშასადამე, შენ გაიმარჯვე...

პირველ აქტში გივის არ უხდებოდა გამოსვლა...

დაიწყო მეორე მოქმედება. უკრაინის ერთერთი სოფლის ხედი გამოჩნდა. პირველად ყრუდ, შემდეგ კი თანდათანობით გაძლიერდა ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ჯერი, ქვემეხების ბათქები.

ლოჯაში მყოფი დომენტი, რომელსაც გვერდით ვახტანგი უჯდა, მღელვარებას ვერ იკავებდა.

აი სცენაზე შემოვიდნენ ფრიცები — ჰანს შვაბეს მეთაურობით. ესესელმა ოფიცერმა სოფელში დარჩენილ მოსახლეობას ჩამოუარა, სათითაოდ ყველას მათრახი გადაჰკრა და მრისხანედ შეჰყვირა:

— წუხელ ამ სოფლის პარტიზანებმა ორი ჯარისკაცი მოგვიკლეს. სამაგიეროდ ჩვენ ახლა თქვენგან რვა ჩამოვახრჩობთ. ეფრეიტორ ერნსტ კუგელ! გამოიყვანეთ ამ ბრბოდან რვა ღორი!

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე გივიმ ლოჯას გადახედა, სადაც დომენტი იჯდა და უცებ გაფითრდა, ერთ ადგილს გაშეშდა, თითქოს ენა ჩაუვარდა. ლულულით ესლა წარმოსთქვა: „... მამატიეთ... დროებით...“ და ჯერ წაბარბაცდა, შემდეგ კი სწრაფად კულისებში გავარდა.

მაყურებელთა შორის აურზაური ატყდა, შეჩოჩქოლდა ხალხი. ვერაფერს გარკვეულიყო, თუ რა მოხდა.



ერთ ადგილს გაშეშდა, თითქოს ენა ჩაუვარდა.

ვახტანგი ფიცხლავ გაეარდა ლოჯიდან და კულისებს მიაშურა. მიიტკრა გივი ფერადესთან, რომელიც არტისტების ჯგუფში იდგა და სულს ძლივს ითქვამდა.


— ეს რა ჰქენი! — შეჰყვირა ვახტანგმა, — რათ ჩამიფლავე პრემიერა, რაზედ დამასხი თავსლაფი!

გივიმაც ხმას აუწია და ბლელვებით მიმართა თეატრის დირექტორს:

— მე რას მიწყრები, ჩემო ძმაო? ხომ იცი, რომ ეს ექვსი თვეა, რაც ცოლი შევირთე, შვილიც მალე შეეოლება. ჯერ მე სიკვდილი

არ მინდა. შენ კი, როგორც ჩანს, გსურს სიცოცხლეს განომასაღწო. შენ ის პარტიზანი რომ მოგიყვანია, გინდა მისი წერა გამხადო?

— რა მოხდა, არაფერი მესმის!  
— საქმეც ეგ არის, რომ არ გესმის. მე რომ ხალხის დახრჩობაზე განკარგულება გავეცი და ვაპირებდი მონოლოგის დაწყებას, ანაზღეულად გადმოვხედე თქვენს ლოჯას. შევამჩნიე, რომ შენმა პარტიზანმა სტუმარმა



— მე თვალწინ წარმომიდგა ამ ხუთი წლის წინათ საკუთარი თვალით ნახული.

წინ წამოიწია, უკანა ჯიბისაკენ ხელი წაიღო... და ბავშვი ხომ არა ვარ! ფრიცებზე ხელგავარჯიშებული ერთ ტყვიასაც არ ამა-ცდენდა, იქვე გამაციებდა.

ვახტანგმა გულიანი სიცილის შემდეგ დაამშვიდა გივი. დაარწმუნა, რომ დომენტის გვერდზე მოუჯდებოდა, თუ რამეს შეამჩნევდა, ხელს დაუკავებდა და გონს მოიყვანდა.

ფარდა კვლავ აიხადა. იმავე სცენიდან დაიწყო მოქმედება, სადაც შესწყდა, როდესაც ოფიცერმა ჩამოსახრჩობად გამოყოფილ ხალხს წამება დაუწყო, დომენტი კვლავ აღელდა, წამოიწია, სკამი გვერდზე გადააგდო და ხელი ისევ უკანა ჯიბისაკენ წაიღო. ვახტანგმა მკლავზე ხელი სტაცა დომენტის და სკამზე დასვა. მოქმედება დამთავრდა. ანტრაქტის დროს დომენტიმ სთხოვა ვახტანგს გერმანელი ოფიცრის როლის შემსრულებელი მსახიობი მაჩვენეო. ორივენი სცენაზე ავიდნენ.

— თქვენ შესანიშნავად ასრულებდით გერმანელი ოფიცრის როლს. — მიმართა დომენტიმ გივის. — მე თვალწინ წარმომიდგა ამ ხუთი წლის წინათ საკუთარი თვალით ნახული და განცდილი ეპიზოდები. როდესაც სეთ ამბავს ვუყუარებ თეატრში, ან კინოში, ძლიერ ველავ ხოლმე, აღელვებისას კი არ შემძლიან მაშინვე პაპიროსს არ მოფუკიდო. და აი, თქვენს თამაშზეც ასე დამემართა. კინალამ ლოჯაში საპაპიროსე ამოვიღე და პაპიროსი მოვწიე...

ა. სპიროზაშვილი





— ჩემი შვილი რვა წელიწადია უსახელოს სკოლაში სწავლობს და ჩემმა ინდაურმა უფრო მეტი იცოდა ქიმიაში: შვილმა მითხრა, ქიმიაში მივირსო, ინდაური გავატანე, დავხმარა და ხუთი მიაღებინა.



# ცილისწაგება

სუფთაწერის მასწავლებელი სერგეი კაპიტონის-ძე ახინევი თავის ქალს ნატალიას ათხოვდა ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებელ ივანე პეტრეს-ძე ლომა-დინისზე. ჩინებულად მიდიოდა საქორწინო მზარეულე-ბა. დარბაზში ცეკვა-თამაში და სიმღერა გაჩაღებული.

ყო. ოთახებში წინ და უკან გახლებით დარბოდნენ კლუბიდან მოწვეული, შავ ფრაკებში და თეთრ, გამ-წვირიანებულ ვალსტულებში გამოწყობილი ლაქები. ისმოდა ხმაოდლა ლაპარაკი.

მათემატიკის მასწავლებელი ტარანტულოვი, ფრანგი — პადეჟა და საკონტროლო პალატის უმცროსი რევი-ზორი ევორ ბენედიქტესძე მზდა—დივანზე ისდნენ და სტუქრება გაჩქარებით უამბობდნენ სპირიტუალისა და ცოცხლად დამარხვის შესახებ. მათ შორის არავის სჯე-როდა სპირიტუალში, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ბევრი რამ არის ამ ქვეყანაზე, რასაც ადამიანის გონება ვერ მიწე-დება. მეორე ოთახში სიტყვიერების მასწავლებელი დო-დონსკი სტუმრებს უხსნიდა, თუ როდის შეეძლო გუშაგს ესროლა გამგლელებსათვის. ლაპარაკი, როგორც ხე-დავო, საშიშარიც და ფრად სამურცი იყო. ფანჯა-რაში, ეზოდან იყურებოდა ხალხი, რომელსაც თავისი სოციალური მდგომარეობით ოთახში შესვლის უფლე-ბა არ ჰქონდა.

სრული შუალამე იყო, როცა მასპინძელი ახინე-ვი გავიდა სამხარეულოში, რომ გავეცა—მზად არის თუ არა ვაშალი. სამხარეულოში, შემწვარი ბატებისა და ინგების სურნელით შეხავებული კვამლი ტრიალებდა. ორ მაგიდაზე ელაგა სანოვაგე და სასმელები. მაგიდე-ბის გარშემო ფუსფუსებდა მხარეული ქალი, ლოყა-დაქადა მარეუშა.

— აბა, ერთი თართი მიჩვენე!—ხელუბის ფშენე-ტით და ტუჩების ლოკვით წარმოათქვა ახინევი. — ოხ, რა სუნი! ასე მეგონა—ჰოუდ ამ სანოვაგეს მარტო მე შევჭამ მეთქი, აბა, მიჩვენე თართი!

მარეუშა მივიდა მაგიდასთან და ფრთხილად ას-წია გაქონილი გახეთი. ამ გახეთის ქვეშ ვეება სინზე განისვენებდა შემწვარი თართი — ხეთისხილით, ჯოჯოლით და სტაფილოთი შეკაზმული. ახინევი შეხედა თართს და გაკვირვებისაგან პირი დაალო, სახე გაუბრწყინდა და თვალები გაუფართოვდა. ახი-ნევი ცოტახანა იდგა, შემდეგ დაიხარა და ტუჩები გააწკლავუნა.

— აბა, რა მხურვალე კოცინის ხმა... შენ ეი, მარ-ეუშა, ვის ჰკოცინი მანდ სამხარეულოში?—მოასმა მეხო-ბელ ოთახიდან და კარებში გამოჩნდა სკოლის დამ-რიგებლის თანაშემწის ვანკინის გაკრეკილი თავი.

— ვინ იყო? ააა! ძალიან სასიამოვნო! სერგეი კაპიტონისი ჩინებულთა! ქალთა სქესისადმი თავიდან-ვე არ ითულებოდი გულგრილ ადამიანად.

— მე არავისთვის მიკოცინია...—დაცხვენით წამოი-ძახა ახინევი. — ვინ გითხრა ეს შენ, სულელი? მე, მხო-ლოდ ისე, პირი გავაწკლავუნე... აი ამ თეგის დანა-ხვანე...

— ო, თავს იმართლებს! ვანკინმა მთელი სახით გაიღიმა და კარებს მიე-ფარა. ახინევი გაწითლდა.

„შეშაკმა იცის, თუ რას იტყვის ეს არამზადა,— გაიფიქრა მან,—მთელ კლავს მოსდებს კორს, თავს მომჭრის ვე ჩერჩეტი“


ახინევი დარცხვნილი შევიდა დარბაზში და გუზად გახედა იმ მხარეს, სადაც ვანკინი იდგა. ის ინსპექტორის ცოლისდას რადაცას ეჩურჩულებოდა და ქალი გულიანად იცინოდა.

— „აი, ჩემზეა ლაპარაკი,— გაიფიქრა ახინევი,— ნამდვილად ჩემზეა ქალი იცინის, ალბათ სჯერა, ღმერ-თო ჩემი, არა, ამ საქმის უყურადღებოდ დატოვება ადარ შეიძლება... ისე უნდა მოეწყოს, რომ მას არ დაუ-ჯერონ... ყველას მე თვითონ შევატყობინებ... დავას-წვრებ... ყველა შეიტყობა, რომ ის ცილისმწამებელია“.

ახინევი კეფა მოიფხანა და დარცხვენით მივიდა პადეჟასთან.

— ესეა სამხარეულოში ვიყავი და ვაშლის თა-დარიგს ვიჭერდი, — უთხრა მან ფრანგს, — ვიცი, რომ შენ თეგვი გიყვარა და ოპო, რა თართი მოგიმზადე! ხე-ხე-ხე, ორი არზინი იქნება! მართლა, კინალამ და-მავეწყდა: ამ თართის შესახებ სამხარეულოში მთე-ლი ანექლოტი შეითხრა: შევდივარ და საქმელებს ვა-თვალავებ... შევხედე თართს და სიამოვნებისაგან ტუჩები დავაწკლავუნე... ამ დროს შემოდის, აი, ის სულელი ვანკინი, და როშავს... ხა-ხა-ხა-ხა... იციო რას როშავს?!

— აააა, შენ მარეუშას ჰკოცინო?— აი ჩვენი მზა-რეული რომაა! ამას მხოლოდ სულელი თუ მოიფიქ-რებდა დედაკაცს არც სახე აქვს, არც ფერხორცი, — ნამდვილ მხეცა ჰგავს. ის ჩერჩეტი კი ამბობს თით-ქოს ვკოცინდი! აი სულელი! მართლაც სულელი!



— გამომცემლობები რკინიგზისათვის ხომ არ გადაუტიათ?  
— რატომ გგონია?  
— რა ვიცი, რომელ გამომცემლობაშიც შევედი, დირექტორი ყველგან 'კიკნაძე'...

— ვინ არის სულელი?— იკითხა მათკენ შებრუნე-ბულმა ტარანტულოვმა.  
— აი, ის, ვანკინი! შევდივარ სამხარეულოში... და აქ ახინევი ტარანტულოვსაც თავიდან მოუყვა ვანკინის შესახებ.  
— ბევრი მაიცინა იმ სულელმა! ჩემის აზრით, უფრო სასიამოვნოა მურა ძაღლს აკოცოს კაცმა, ვიდრე იმას. — დაუმატა ახინევი, უკან მოიხედა და ახლა მზდა დანიხა.  
— აი, ჩვენი ვანკინის შესახებ ვლაპარაკობდით. — უთხრა მასაც. — ნამდვილი სულელია. შემოდის სამხარეულოში, დამინახა, რომ მარეუშასთან ვდგვარ და დაიწყო უშნო ლაპარაკი და ჰორაობა: „რას ჰკოცინო ერთმანეთსო? იქნებ მთვრალი იყო და რაიმე მოეჩ-ვენა? მე ვეუბნები, რომ უმოკბესია მამალ ინდაურს აკოცოს კაცმა, ვიდრე მარეუშას მეთქი. ამას ვარდა— მე ცოლი მყავს, შე სულელი მეთქი. ბევრი მაიცინა!  
— ვინ გაციანა?— იკითხა აალოს მოსულმა საღმრ-თო სკულის მასწავლებელმა.  
— ვანკინმა. ვდგვარ სამხარეულოში და გუყუ-რებ ორაგულს... და ასე შემდეგ. ნახევარი საათის შემდეგ ყველა სტუმარმა იცოდა ორაგულის და ვანკინის ისტორია.  
— „აი, ესაა ილაყბოს!— ფიქრობდა ახინევი და ხელებს იფშენებდა. — დაიწყებს თუარა ჰორის მოყო-ლას, ხელად მიახლიან: „გეყოფა! გეყოფა! სისულელეს ნუ როშავ, ჩვენ ყველაფერი ვიცით!“  
ახინევი იმდენად დამშვიდა, რომ ზედმეტი ოთხი სასმისი გადაჰკრა. ვაშლის შემდეგ ახალგაზრდები და-საძინებელ ოთახში გააცილა, თვითონაც თავის საწოლ-ში წავიდა, დაიძინა როგორც გულუბრყვილო ბავშვი და მეორე დღეს უკვე აღარაფერი ახსოვდა ორაგუ-ლისა და ვანკინის შესახებ. მაგრამ ასე ხდება მუდამ — კაცი ბუბბდა და ღმერთი იცინოდა. ავმა ენამ მაინც თავისი გაიტანა და ახინევის ვერ უშველა ეშმა-კობამ! სწორედ ერთი კვირის შემდეგ, ოთხშაბათს, როცა მესამე გაკვეთილი მოთავდა, ახინევი იდგა სა-მასწავლებლოში და მსჯელობდა მოწაფე ვისკინის ცუდ მიდრეკილებებზე. მასთან მივიდა დირექტორი და განზე გაიხმო.  
— აი რა, სერგეი კაპიტონისი! — დაიწყო დირექ-ტორმა. — ბოდიშს ვიხდი, ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ

მე მაინც ვალდებული ვარ ერთგვარი მითითება მოგ-ცეთ... ეს ჩემი ერთგვარი მოვალეობაცაა... ხომ იციო, ხმები დადის, რომ თქვენ თქვენს მხარეულ ქალთან... ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ... ჰკოცინეთ... როგორც გნებავთ, მაგრამ ნუ გაახშიანებთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ჰედაგოგი ხართ!

ახინევის გააქრულია და ენა დეება. თითქო მთე-ლი სკა ფუტკრებისა ერთად დაეხვია, თითქო მდუ-ლარე გადაასხესო, ისე წავიდა სკოლიდან შინსაკენ, მიდიოდა და ვგონა, რომ მთელი ქალაქი მას უყურებ-და, როგორც კუპრში დასვრილს... სახლში მას უარე-სი უბედურება ელოდა.

— შენ რა, არაფერი არ უნდა ჩახეტო? — ჰკითხა სადილობისა ცოლმა. — რაზე დაფიქრდი? სიყვარულზე ფიქრობ? მარეუშასთვის ხომ არ მოიწყინე? მე ყველა-ფერი ვიცი, კეთილმა ხალხმა თვალები ამინილა, უხ შე ბარბაროსო!

და ახინევი ლოყაზე იგრძნო ცოლის თითები. ის წამოდგა უქუდიოდ და უპალტოდ, წავიდა ვანკინ-თან. ვანკინი სახლში დახვდა.

— შენ გარეწარი ჰყოფილხარ, — მიმართა მას ახი-ნევი. — რად შემარცხვინე, რად მომჭერი თავი? რად დამწამე ცილი?  
— რა ცილისწამება? რას ამბობ?  
— აბა ვინ დამწამა ცილი, თუ არა შენ, რომ მე მარეუშას ვკოცინდი?.. შენ არ იყავი? შე ავახაკო შენა?  
ვანკინმა თვალები აახამხამა, ხატს შეხედა და წარმოსთქვა;  
— ღმერთმა დამსაჯოს, თვალები დამიბრმავდეს, ჩავძალდებ, თუ მე შენს შესახებ სიტყვა წამომცდე-ნოდეს. არ გამოთენდეს, არც დამილამდეს, ხოლერა შემეყაროს თუ ჰკირიტი დამეძრას.  
ვანკინის გულწრფელობაში ეჭვის შეტანაც შეუძ-ლებელი იყო, ცხადი იყო, რომ მას არ ეტორავნა.  
— ვინ იყო? ვინ იქნებოდა? — იგონებდა ყველა თავის ნაცნობს და გულში იცემდა ხელს.  
— ვინ იქნებოდა? ჩვენც ვეკითხებით მკითხველებს. მთარგმ. ს-ლი






— რევიზია მოდის ჩემთან, დღეს, საწყობში. მიშველეთ, რევიზიისაგან გადასარჩენად როგორმე ერთი ბოთლი ლუგელა მიშოვნე...

შემთხვევით გადარჩენილი

თბილისის ბაზრებზე სპეკულანტები ლუგელად ასაღებენ ქინაქინისა და საჭმელი მარილისაგან შეზავებულ სითხეს.

ნახ. ბელიაკისა



— ექიმო, გუშინ და დღეს სუთი ბოთლი ლუგელა დავლიე და სულ არ იმოქმედა.

— არიქა, ვაიქეცი და იმ ლუგელას გამყიდველს მალარიჩი გადაუხადე, რომ ცოცხალი გადარჩენილხარ!

დიდი სერიისა და ალიაქოთის ხალხი ვართ! თითო რამ ყოველწელს უნდა გამოვიგონოთ, უნდა ავსტეხოთ შფოთი და მითქმა-მოთქმა, კამათი და აურ-ზაური!

ერთ წელს რომ ახალი ფეხბურთელია ჩვენზე ცუდისადაც მეორე წელიწადს ახალი მწერალი, ან მსახიობი.

მაგრამ ის, რაც წელს მოხდა, მართლაც დამახასიათებელია. ქვეყნის გაჩენის დღიდან თუ არა, ჩხოროწყუს რაიონის დაარსების დღიდან მაინც სდის ერთი პატარა წყარო პატარა სოფელ მუხურში.

ამ წყლის შესანიშნავ სამკურნალო თვისებებს დიდი ხნიდან იცნობენ სამეგრელო-გურიის მცხოვრებნი. ჩვენმა ხელისუფლებამაც თავის დროზე სათანადო ყურადღება მიაქცია მუხურის წყალს, მიღებულ იქნა ღონისძიებანი. არ იცნობდნენ მხოლოდ ჩვენი ექიმები მუხურის წყალს.

და აი, რაღაც საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ვილაცას ერთი ბოთლი მუხურის წყალი ჩამოუტანია თბილისში.

ეს ბოთლი გასკდა! გასკდა, როგორც ახალი ბომბი, ატომურ ბომბზე უფრო ძლიერი. მართალია ამ აუეთქებას ნგრევა არ მოჰყოლია, მაგრამ მისმა ხმამ არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველო შეაზანზარა და ყველამ ერთი სიტყვა დაიკერა პირზე:

ლუგელა! მატარებელში, ტრამვაიში, სამსახურში, სასადილოში, თეატრში, ყველგან ლუგელაზეა ლაპარაკი. ატომ-ლუგელის პოპულარიზაციას განსაკუთრებით შეუწყეს ხელი ჩვენმა პროფსორ-ექიმებმა.

გაზეთებმა ამცხეს მთელ ჩვენს ქვეყანას უდიდესი აღმოჩენის შესახებ.

ხალხში ხმა გავარდა „უკვდავების წყაროს“ აღმოჩენაზე. დაიწყეს ისტორიულ წყაროებში, ხალხურ ზღაპრებსა და თქმულებებში ლუგელის კვლევის ძებნა.

მიხრწნილ მოხუცებს სიცოცხლის გაგრძელებისა და გაახალგაზრდავების იმედი გაუბრწყინდათ, დაკუთრებულებს და დამბლად-ცემულებს ფეხბურთელად გახდომის სურვილი გაეღვიძათ, უნიკობებს ნიჭის მომატების ნუგეში მიეცათ, ჩამორჩენილებს დაწინაურების და ასე დაუსრულებლად.

თბილისის ბაზარზე უცებ აიწია ლუგელას ფასმა, გაჩნდნენ ფალსიფიკატორებიც, დაიწყეს ლუგელას მარკით მარილნარევი უბრალო წყლის გაყიდვა.

ერთი სიტყვით; წალეკა ლუგელამ ყველაფერი. ლუგელას პოპულარიზატორებს ალბათ თვითონვე შეეშინდათ ამოდენა მასშტაბების და ერთ მშვენიერ დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა სათანადო განმარტებითი წერილი: „ლუგელა-მუხურის მინერალური წყლის შესახებ“.

პატივცემული ავტორი მართებულად განმარტავდა ხალხში გავრცელებული ხმის უსაფუძვლობას ლუგელას „სასწაულთმოქმედ ძალაზე“. შემდეგ მოუთხრობდა ამ წყლის შემადგენლობასა და თვისებებზე.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ წერილის ავტორი მიუთითებდა მკითხველს ლუგელას ნამდვილ სამკურნალო თვისებებზე, მაგრამ მოგტყუვდით.

ლუგელას არცერთ პატრიოტს არც ტრამვაიში, არც მატარებელში და არც სხვაგან სადმე, ლუგელასთვის იმდენი ავადმყოფობის განმკურნავი თვისება არ მიუწერია, რამდენიც ამ ავტორიტეტული წერილის ავტორმა მიაწერა.

წერილის ბოლო პირდაპირ აბათილებს თავში ნათქვამ სწორ მოსაზრებებს. იგი არა თუ უარყოფს ლუგელას „სასწაულთმოქმედებას“, პირიქით, ახალ მასალას იძლევა ამ წყლის „უკვდავების წყაროდ“ აღიარებისათვის.

„ამგვარად, — სწერს ავტორი, — ლუგელა-მუხურის წყალი შეიძლება ექიმმა დაუთხროს შემდეგ დაავადებათა დროს: სხვადასხვა ფორმის ფილტვების ტუბერკულოზის, ლიმფატურ, ჯირკვლების ყველა სახეების, ეკსუდატიურ და მშრალი პლევრიტის და პოლისე-როზიტების, მომატებული და დაკლებული სიმძეავიანობის გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის, თირკმლების ანთების, ბრონქიალური ასტმის, ჯინჭრის ციების, რევმატიულ, თუ სხვა ინფექციური წარმოშობის სახსრების ანთების, საშვილოსნოს მწვავე და ქვემწვავე ანთებას მენსტრუალური ციკლის დარღვევით, სხვადასხვა წარმოშობის ოსტეოპათიის, გემორაგის, ეპილეპსიის ზოგიერთი ფორმის, ტეტანურის, კანის ზოგიერთი ავადმყოფობის და სხვა“.

აქ ჩამოთვლილი ავადმყოფობის გარდა არსებობს კიდევ სხვა დაავადებაც?! ვფიქრობთ რომ არა. მაგრამ, რომ არსებობდეს კი-



# კაჭკაითის ბაქანზე

კახეთის რკ. გზ. ს. კაჭკაითის ბაქანი ისე დაბალია, რომ მგზავრები ვერ ახერხებენ მატარებელში შესვლას.

ნახ. ლონისა



— ი, ჩემმა ბიჭმა კიბე ჩქარა მოიტანოს, თორემ დავრჩები.

## „თბილსობტორგის“ კომერციული მალაზია და ჩემი სევდა

ომის დროს ნადირობისათვის არ მეცალა. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა, გულს ისევ უხმობენ ნადირობითა და გარეული ფრინველით საესე ტყეები, სტეპები. ყოველ ღამეს მოაქვს ჩემთვის ულამაზესი სიზმრები: ხან ტახზე ვნადირობ, ხანაც რიონისა და ალაზნის ნაპირებზე დავეხეტები და ხობებს მუსრს ვავლებ. გუშინ, მაგალითად, მესიზმრა: კოლხეთის ტყეში ჩამძინებოდა. მამალი ხობობი ჩემს თავთან ამაყად ბოლთასა სცემდა, დროდადრო თავის რაგინდრაფერ ბოლოს ჩემს ფრიალ მოზრდილ ცხვირს შეახებდა, ცალი თვალით დაცინვით გადმომხედავდა და აღამიანივით ხარხარებდა. რომ გამომეღვიძა, ხელები გავშალე, თოფის ასაღებად წამოვიწიე, მაგრამ... თავი ულონოდ დამივარდა ბალიშზე, სევდა დაეუფლა ჩემს სულს... ელნათურის შუქით განათებულ კედლებს ნაღვლიანად თვალი შევავლე. ორლულიანი თოფი აღარ ამშვენებდა ჩემს ოთახს.

დილით მეგობრისაკენ გავწიე.

— თოფი მინდა, — მისვლისთანავე ვუთხარი.

— რა სისტემისა?

— ზაუერს, ფრანკოტს, ლებოსა და სხვებს ჩვენი „ტულა“ მირჩევნია.

მან მეორე ოთახიდან ახალი თოფი გამოიტანა. თვალისმომკრებლად ელვარებდნენ „ტულკის“ ლულები.

— სად იყიდე?

— ოსობტორგის მალაზიაში, რუსთაველის პროსპექტზე. გუშინ მიიღეს თოფები, ახლავე წადი. — ქული დაიხურა და გამოიმეშვიდობა. — დღეს მივემგზავრები, ერთი თვის შემდეგ ჩამოვალ. მინახულე.

სწრაფად შევიქერ ჩემს ბინაში, ფული ჯიბეში ჩავიდე და მალაზიისაკენ მოვუსვი. კარებთან კოლმეურნე შემეფეთა, ილღიაში თოფი ამოედო, ლილინებდა.

— აქ იყიდე, მეგობარო?

— ჰოოდე. — მიპასუხა და გზა დამითმო.

გახარებულმა მსუქან გამყიდველს მივმართე:

— თოფები გაქვთ?

მან თვალები დაახამხამა, დამაშტერდა, შევატყე — მერყეობდა.

— აი, დღეს რომ მიგიღიათ, — გავუღიმე.

მის სახეზე მერყეობის ნიშან-კვალი უმაღ გაქრა.

— გაიყიდა.

ამოვიოხრე და გამოველ.

\* \*

ერთი თვე რომ გავიდა, მეგობარმა ბინაში მომაკითხა — ახლა ჩამოვედიო.

— სად არის შენი თოფი?

— ვერ მივუსწარი, გავყიდათ.

მეგობარს სიცილი წასკდა.

— არ ვხუმრობ, რა ვაციინებს?

— გამყიდველს როგორ მიმართე?

— საწყენი არაფერი მიტყვამს.

— მაინც.

— დღეს რომ მიიღეთ, ის თოფი მინდა მეთქი.

ახლა უფრო ხმა-მალა გაციონა. გაცეხებული შევცქეროდი, ვერ გამეგო — რა აცინებდა. სიცილით გული რომ იჯერა, მიაბო:

— „გამყიდველის მახლობლად გავინაბე, გამყიდველმა ყაბალახიანი კაცი რომ დაინახა, ყურში ჩასჩურჩულა: თოფი გინდა?

— კი, პატენი, მაგრამ რა ღირს?

— ჩემმა მზემ, მიროვოი თოფია, ცოტა მეტს გამოგართმევ, მაგრამ, არა სთქვა სად იყიდე. მაგის ახორტნიკი ბევრია, დამესვვიან და გაწეწვას მიქნამენ.

ყაბალახიანმა თოფი იყიდა. მერე დახლთან რამდენიმე გადამყიდველი აიმართა.

— არტაშჯან, თოფები ხომ გაქვს შენახული?

— ამ ნიმუტში წაიღეთ, სლუჩაინად კანტროლი არ მოვიდეს.

— თქვენი ფეშქეში იყოს, იხეირეთ.

იმ წამსვე დახლთან გავჩნდი და თითქმის ვიყვირე:

— ჩეკი გამოსწერე, ის თოფი მინდა, მაგ კაცს რომ აძლევ.

გამყიდველის სახეზე უცნაური შიში გამოიხატა. აქეთ-იქით ქურდულად გაიხედა.

— ცოტა ჩუმად, დუშკაჯან, თოფები ბევრი არა ღაქვს, ხალხმა რომ გაიგოს, ერთი აყალ-მაყალი ატყდება, მაგის ახორტნიკი ბევრია. მერე რა ქნას არტაშამ? — დაიხარა, ჩეკი გამოსწერა და მომაწოდა.

— თოფი ვნახო, იქნებ არ ვარგა...

— ვახ, არ მოგეწონება — რომელია, პირდაპირ კუკლაა, — ქვევიდან ამოიღო თოფი და მომცა.

თოფს ხელი მაგრად ჩავავლე და ხმამალა ვკითხე:

— მაშ ეს თოფი მაგდენი ღირს?

— თუ გეძვირება, შავიძლიან არ წაიღო, — ჩაიბუტბუტა.

— ამ თოფს ნამდვილი ფასი ზედ აწერია, ტყუილად უმატებ! — ხმას აფუწიე.

— რა გაყვირებს დუშკაჯან, — ტუჩები შიშისაგან აუთრთოლდა, — ხომ გითხარი, თუ ძვირია, ნუ წაიღებ. ასე რად გაბრაზებულხარ? თოფი მომეცი.

— თოფს არ გაძლევ. ყაბალახიანს რამდენად მიჰყიდე?

— რა გაყვირებს, მოქალაქე, — მომმართა მილიციის თანამშრომელმა.

— ამ პატივცემულმა, პატიოსანმა მოქალაქემ სთქვა — ჩეკი გამოსწერეო, მეც ტოჩნად ისე გამოვწერე. ეხლა მეჩხუბება თოფი ნაკლები ღირსო, მეც არ ვესპორები, აგრე ღირს. ვინმე სპეკულიანტი ხომ არა ვარ, ფასი დავარღვიო, მე, სახელმწიფოს ინტერესებს ვიცავ, — მსუქან სახეზე ხელი ჩამოისვა, პაპროსი მიაწოდა მილიციის თანამშრომელს.

თავი გავიქნიე. მართლაც, რით დამემტკიცებინა, რომ ის პატიოსანი საბჭოთა გამყიდველი კი არა, მალაზიიდან პანლურისცემით გასაგდები იყო? მოწმე არ მყავდა, — დაასრულა ამბავი მეგობარმა.



47-116

# „წინდახედული ოპერატიულობა“

ნახ. ა. კანდელაკისა

წინდახედული  
ოპერატიულობა



— ამხანაგო დირექტორო, ეს კომბაინი შემოწმებას მოითხოვს, შეიძლება რამე დეფექტი აქვს!  
 — რა დროს შემოწმებაა, ხომ ხედავ—მოსადგომის ადებას ვიწყებთ,—გაიყვანეთ მინდორში და თუ დეფექტი აქვს—მუშაობის დროს გამოირკვევა.

სარედაქციო კოლეგია: ი. ზრისაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 26/VI. ლ. ბ. ზირიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 67 შგკ. № 934. ტირ. 7500 უმ 02586